

2006 წელი

29 დეკემბერი, 2006 წელი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა წლეულს 1500-ზე მეტი თანამშრომელი გაადამზადა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა იაკობ ლლონტმა დღეს ცენტრის ტრენერებთან შემაჯამებელი შეხვედრა გამართა და მომავალი წლის სამუშაო გეგმა დასახა. იაკობ ლლონტის შეფასებით, სასწავლო ცენტრის საქმიანობა 2006 წელს ნაყოფიერი იყო.

მიმდინარე წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში პენიტენციური დაწესებულებების 1 265 თანამშრომელი, ხოლო პრობაციის დეპარტამენტის სრული შემადგენლობა გაადამზადდა.

ცენტრის ეგიდით გამოიცა 7 ნაშრომი. მათ შორის სასჯელაღსრულების სფეროში მომუშავე ტრენერთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო, სადაც აღწერილია საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდოლოგია, მიმართული სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისაკენ. იქვე ასახულია პენიტენციური და პრობაციის სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა და საერთაშორისო დოკუმენტები.

ქართულ ენაზე ითარგმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული და ა.შ. იაკობ ლლონტის ინფორმაციით, მომავალ წელს იგეგმება სასწავლო ცენტრის ახალი შენობის გახსნა, სადაც სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებისა და პრობაციის ოფიცრების მოსამზადებლად ინტენსიური კურსები ჩატარდება.

27 დეკემბერი, 2006 წელი

საპატიმროების სოციალურ მუშაკებს სერტიფიკატები გადაეცათ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბათუმის №3, ზუგდიდის №4, რუსთავის №6 საპრობაციო დაწესებულების, ასევე ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპრობაციო რეჟიმისა და არასრულწლოვანთა აღმზრდელი დაწესებულების სოციალური სამსახურის თანამშრომელთა გადამზადება დაასრულა.

88-საათიანი სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა სოციალური სფეროს 43-მა თანამშრომელმა გაიარა.

სასწავლო პროცესის ბოლოს ტესტირება ყველა მათგანმა წარმატებით ჩააბარა და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები მიიღო.

ღონისძიება UNICEF-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

20 დეკემბერი, 2006 წელი

გამოიცა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეგიდით, ქართულ ენაზე გამოიცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული.

კრებულში შესულია ევროპულ სასამართლოში განხილულ 13 საქმეზე მიღებული პრეცედენტული გადაწყვეტილება. მათ შორისაა: ბალოგი უნგრეთის წინააღმდეგ; ნოვოსელოვი რუსეთის წინააღმდეგ; სელმუნის საფრანგეთის წინააღმდეგ; ტეკინი თურქეთის წინააღმდეგ და სხვა.

წიგნი შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (SIDA) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით გამოიცა.

19 დეკემბერი, 2006 წელი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენერებმა ესტონეთში სტაჟირება გაიარეს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენერები, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის - „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარება“ - ფარგლებში, ესტონეთის რესპუბლიკაში ერთთვიან სტაჟირებაზე იმყოფებოდნენ.

ტრენერებმა: გიორგი მაგანიამ, მათა ოგრაპიშვილმა, დავით გელაშვილმა და ზურაბ ბრეგვაძემ დაათვალიერეს სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულება, გაეცნენ ესტონეთის სასწავლო ცენტრის სწავლების მეთოდებსა და სასწავლო პროგრამებს, მონაწილეობდნენ სხვადასხვა პრაქტიკულ მეცადინეობაში.

2007 წელს ესტონეთის სასწავლო ცენტრში დაგეგმილია კიდევ ოთხი ქართველი ტრენერის ერთთვიანი სტაჟირება.

18 დეკემბერი, 2006 წელი

სასჯელაღსრულების სფეროს ტრენერთათვის სახელმძღვანელო გამოცემა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეგიდით გამოიცა სასჯელაღსრულების სფეროში მომუშავე ტრენერთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო, რომლის ავტორია იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე.

400 გვერდიან სახელმძღვანელოში აღწერილია საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდოლოგია, რომელიც მიმართულია სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისაკენ. ასახულია პენიტენციარული და პრობაციის სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა და საერთაშორისო დოკუმენტები.

სახელმძღვანელო, აგრეთვე, მოიცავს პრაქტიკულ სავარჯიშოებს, სასწავლო პროგრამებსა და შეფასების სისტემას, რომელიც ტრენერებს მისცემს შესაძლებლობას აქტიურად წარმართონ სწავლება.

წიგნი შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (SIDA) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით გამოიცა.

12 დეკემბერი, 2006 წელი

სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა ტრენინგი დასრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა თბილისის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების, რუსთავის №6 საპყრობილისა და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების თანამშრომელთა გადამზადება დაასრულა.

საბაზისო და მართვის სასწავლო პროგრამების მიხედვით ტრენინგი 200 თანამშრომელს ჩაუტარდა. სასწავლო პროცესის ბოლოს, ტესტირების გავლის შემდეგ, შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი 186-მა მონაწილემ მიიღო.

9 დეკემბერი, 2006 წელი

სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელები პოლონეთის გამოცდილებას გაეცნენ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დღეს პოლონეთის პენიტენციარული სისტემის წარმომადგენლები ქართველ კოლეგებს შეხვდნენ და მათ სასჯელაღსრულების სისტემის პოლონური მოდელი გააცნეს.

ლონისძიებას უძღვებოდა პოლონეთის პენიტენციარული სისტემის ხელმძღვანელი იაჟეკ პომიანკევიჩი, რომელმაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პენიტენციარული დაწესებულებების ხელმძღვანელებს დეტალურად გააცნო პოლონეთის სასჯელაღსრულების დაწესებულებების სისტემა და მენეჯმენტი.

ეუთოს პოლონელმა ექსპერტმა მიროსლავ ნოვაკმა თავის მოხსენებაში საქართველოსა და პოლონეთის სასჯელაღსრულების სისტემებს შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებაზე ისაუბრა.

პოლონეთის სასჯელაღსრულების სისტემის დელეგაცია საქართველოს ორი დღის წინათ ეწვია. მათ უკვე დაათვალიერეს რუსთავის №6 საპყრობილე. დაგეგმილი აქვთ ქალთა და არასრულწლოვანთა საპატიმროებში ვიზიტი.

8 დეკემბერი, 2006 წელი

სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის ტესტები გამოიცა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეგიდითა და საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისიის (NORLAG) ფინანსური მხარდაჭერით სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის ტესტები გამოიცა.

საგამოცდო ტესტებში შესულია საკითხები პენიტენციური სფეროს საერთაშორისო სტანდარტებიდან, საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებიდან, „პატიმრობის შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ კანონებიდან. ტესტები მოიცავს სასჯელაღსრულების სისტემის კონტროლის ადგილობრივ და საერთაშორისო მექანიზმების საკითხებს.

28 ნოემბერი, 2006 წელი

სასჯელაღსრულების დაწესებულებების სოციალურ მუშაკთა გადამზადება დაიწყო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბათუმის №3, ზუგდიდის №4 და რუსთავის №6 საპყრობილეების, აგრეთვე, ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმისა და არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების სოციალური სამსახურის 44 თანამშრომლის სპეციალური სასწავლო პროგრამის მიხედვით გადამზადება დაიწყო.

UNICEF-ის მიერ დაფინანსებული სასწავლო პროცესის დასრულებისთანავე სოციალურ მუშაკებს ჩაუტარდება ტესტირება, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში, შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცემათ.

სასწავლო ცენტრის დირექტორის კობა ღლონტის ინფორმაციით, პარალელურად მიმდინარეობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების, რუსთავის №6 საპყრობილისა და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ახალდანიშნულ თანამშრომელთა გადამზადება საბაზისო და მართვის პროგრამებით.

14 ნოემბერი, 2006 წელი

სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა გადამზადების მორიგი ეტაპი დაიწყო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტში დღეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების, რუსთავის №6 საპყრობილისა და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების თანამშრომელთა გადამზადება დაიწყო.

საბაზისო და მართვის სასწავლო პროგრამების მიხედვით გადამზადებას არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების 107, რუსთავის №6 საპყრობილის 48 და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების 26 თანამშრომელი გაივლის.

სწავლებაში მონაწილე ყველა თანამშრომელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ღლონტმა სასჯელაღსრულების სფეროში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტების კრებული გადასცა.

სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ მასში მონაწილეები ტესტირებას გაივლიან და, წარმატების შემთხვევაში, შესაბამის სერტიფიკატს მიიღებენ.

13 ნოემბერი, 2006 წელი

სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს სერტიფიკატები დაურიგდათ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადების მორიგი ეტაპი დასრულდა. 146-მა მეციხოვნემ სწავლება საბაზისო და მართვის პროგრამის მიხედვით გაიარა.

ერთი თვის წინათ დაწყებულ სწავლებაში თბილისის №1, №5 და №7 საპყრობილების - 32 და ავჭალის №10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების 114 თანამშრომელი მონაწილეობდა.

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ ჩატარდა ტესტირება და წარმატებულ მონაწილეებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ.

სერტიფიკატის მოპოვება მხოლოდ თხუთმეტმა თანამშრომელმა ვერ შესძლო.

7 ნოემბერი, 2006 წელი

სახელმძღვანელო წინასწარი საპატიმრო დაწესებულების თანამშრომელთათვის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეგიდითა და საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის ფინანსური მხარდაჭერით, წინასწარი საპატიმრო დაწესებულების თანამშრომელთათვის სახელმძღვანელო გამოიცა.

სახელმძღვანელოში განხილულია წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული პრაქტიკა, საპატიმრო დაწესებულების შიდა განაწესი, პატიმრებთან მოპყრობისა და საყოფაცხოვრებო პირობების საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები, პატიმართა უფლებები და უსაფრთხოების ზომები.

სახელმძღვანელოს გაცნობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საპატიმრო დაწესებულებების თანამშრომელთა ყოველდღიურ საქმიანობას.

31 ოქტომბერი, 2006 წელი

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაციის თემაზე წიგნი გამოიცა

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ოფისში გაიმართა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეგიდით გამოცემული წიგნის „მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია საქართველოში II ნაწილი“ პრეზენტაცია, რომელსაც იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე, მინისტრის მოადგილე და უცხოელი ექსპერტები ესწრებოდნენ.

წიგნის ავტორია იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტის სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი მაია ხასია.

ეუთოს დაფინანსებით გამოცემული წიგნი - „მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია საქართველოში II ნაწილი“ არასრულწლოვანთა დანაშაულების გამომწვევ მიზეზებსა და მათი რეაბილიტაციის გზებს ეხება.

მაია ხასიამ წიგნზე მუშაობისას კვლევა ჩაატარა არასრულწლოვანთა აღმზრდელით დაწესებულებასა და არასრულწლოვანთა საპრობილემო, როგორც პატიმრებს, ისე პერსონალს შორის. ხასიას ინფორმაციით, კვლევის დროს იგი იყენებდა სპეციალურ ანკეტას, რომლის ფორმა მოწონებული იყო ფსიქოლოგებისა და ექსპერტების მიერ.

წიგნის I ნაწილი, რომელიც 2005 წელს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ეგიდითა და ეუთოს დაფინანსებით გამოიცა, ქალთა დანაშაულების გამომწვევ მიზეზებსა და მათი რეაბილიტაციის გზებს ეხებოდა.

წიგნის ავტორის ინფორმაციით, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა წიგნის III ნაწილზე, რომელიც მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა სოციალურ რეაბილიტაციის თემას მიეძღვნება.

17 ოქტომბერი, 2006 წელი

სასჯელაღსრულების სისტემის სოციალურ მუშაკთა ტრენინგი დასრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებების სოციალურ მუშაკთა გადამზადება დასრულდა.

პენიტენციური სისტემის სოციალური სამსახურის 25 თანამშრომელს ტრენინგი სპეციალური პროგრამით ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა ჩაუტარეს. სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტიმა მათ შესაბამისი სერტიფიკატები გადასცა.

სოციალურ მუშაკთა გადამზადება პატიმართა სარეაბილიტაციო-სამკურნალო პროგრამა „ატლანტისის“ ფარგლებში, პოლონეთის ბატორის ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა.

16 ოქტომბერი, 2006 წელი

სასჯელაღსრულების დაწესებულების 146 თანამშრომელი ტრენინგს გაივლის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა დღეს თბილისის ავჯალის №10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების თანამშრომელთა გადამზადება დაიწყო.

დაწესებულების 114 თანამშრომელი რამდენიმე სასწავლო ჯგუფში არის განაწილებული. პირველი ტრენინგი დღეს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ და სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტიმა გახსნეს და ტრენინგის მონაწილეებს სასჯელაღსრულების სფეროში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტების კრებული გადასცეს.

სპეციალური სასწავლო პროგრამით ტრენინგს გაივლის, ასევე, თბილისის №1, №5, და №7 საპრობილემოების ის 32 თანამშრომელი, რომლებიც სასჯელაღსრულების სისტემაში ბოლო პერიოდში დაინიშნენ.

ტრენინგის დასრულების შემდეგ თანამშრომლებს ჩაუტარდება ტესტირება, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცემათ.

13 ოქტომბერი, 2006 წელი

სასჯელაღსრულების სისტემის სოციალურ მუშაკებს ტრენინგი უტარდებათ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებების სოციალურ მუშაკთა გადამზადება დაიწყო.

სასწავლო ცენტრის დირექტორის კობა ლლონტის ინფორმაციით, ხუთდღიან ტრენინგს პენიტენციური სისტემის სოციალური სფეროს 20-ზე მეტი თანამშრომელი გაივლის. მათ სპეციალური პროგრამით სწავლებას ქართველი და უცხოელი ექსპერტები ჩაუტარებენ.

სოციალურ მუშაკთა გადამზადება პატიმართა სარეაბილიტაციო-სამკურნალო პროგრამა „ატლანტისის“ ფარგლებში, პოლონეთის ბატორის ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს.

10 ოქტომბერი, 2006 წელი

ქართველი პრობაციის ოფიცრები სტაჟირებას შვედეთში გაივლიან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის ოთხი ოფიცერი შვედეთის პრობაციის სამსახურში ორკვირიან სტაჟირებას გაივლის.

ამის შესახებ შვედეთში ვიზიტისას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაციის წევრები შვედეთის პრობაციის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმდნენ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი კობა ლლონტი და სასწავლო ცენტრის ტრენინგები შვედეთში შვედეთის განვითარების

სააგენტოს (SIDA) დაფინანსებული პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარება“ ფარგლებში იმყოფებოდნენ.

დელეგაციის წევრებმა შეხვედრა გამართეს შვედეთის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის ხელმძღვანელებთან. ისინი დეტალურად გაეცნენ მეციხოვნეთა და პრობაციის ოფიცერთა მოსამზადებელი სასწავლო ცენტრის სტრუქტურას, სასწავლო პროგრამებსა და მომზადების მეთოდებს.

9 ოქტომბერი, 2006 წელი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენერებს ფრანგები მოამზადებენ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრისა და საფრანგეთის იუსტიციის უწყებაში მოქმედ ანალოგიურ სასწავლო დაწესებულებას შორის უახლოეს მომავალში თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება. მანამდე კი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის 4 ტრენერი პარიზში ორკვირიან სპეციალურ სასწავლო კურსს გაივლის.

აღნიშნული გადაწყვეტილება მხარეებმა იუსტიციის სამინისტროს დელეგაციის საფრანგეთში ვიზიტისას მიიღეს.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი კობა ლლონტი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწე რევაზ ჭარბაძე და სასწავლო ცენტრის ტრენერი კახა წიქარიშვილი.

ფრანგი კოლეგების მიწვევითა და საფრანგეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული სამდღიანი ვიზიტისას დელეგაციის წევრებმა სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულება დაათვალიერეს. ისინი დეტალურად გაეცნენ საფრანგეთის სასწავლო ცენტრის მუშაობას, თანამშრომელთა მომზადების მეთოდებსა და სასწავლო პროგრამებს.

7 ოქტომბერი, 2006 წელი

პრობაციის ოფიცრებს ტრენინგი უტარდებათ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის წამების მსხვერპლთა ფსიქოლოგიური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრში დღეს ორდღიანი ტრენინგი გაიხსნა.

სემინარში თბილისის პრობაციის ბიუროს თორმეტი ოფიცერი მონაწილეობს.

ღონისძიების მონაწილენი არაპატიმარი მსჯავრდებულების (პრობაციონერების) რესოციალიზაციის საკითხებსა და პრობაციის ოფიცრების საქმიანობის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე მსჯელობენ.

29 სექტემბერი, 2006 წელი

იუსტიციის მინისტრის მოადგილე შვედეთში მიემგზავრება

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი კობა ლლონტი, ასევე, სასწავლო ცენტრის ტრენერები და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები 1 ოქტომბერს შვედეთში ერთკვირიანი ვიზიტით მიემგზავრებიან.

ვიზიტი „შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (SIDA) მხარდაჭერით, „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარების“ პროექტის ფარგლებში განხორციელდება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაციის წევრები შვედეთში შეხვედრებს გამართავენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის, ასევე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის თანამშრომელთა სასწავლო ცენტრების ხელმძღვანელებთან. დელეგაციის წევრები დაათვალიერებენ სასწავლო ცენტრს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და პრობაციის ოფისებს.

ვიზიტის ფარგლებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სფეროში შვედეთის გამოცდილების გაზიარებასთან ერთად, მომავალი თანამშრომლობის გეგმაც დაისახება.

25 სექტემბერი, 2006 წელი

იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია საფრანგეთში გაემგზავრება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი კობა ლლონტი, სასწავლო ცენტრის ტრენერი კახა წიქარიშვილი და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწე რევაზ ჭარბაძე 26 სექტემბერს, ფრანგი კოლეგების მიწვევითა და საფრანგეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, საფრანგეთში მიემგზავრებიან. იუსტიციის სამინისტროს დელეგაციის წევრები საფრანგეთში ადგილობრივი სასწავლო ცენტრის სტრუქტურას, სასწავლო პროგრამებსა და მეთოდებს გაეცნობიან და პრაქტიკულ მეცადინეობებს დაესწებიან.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის ხელმძღვანელობასთან. ამასთან, დელეგაციის წევრები რამდენიმე სასჯელაღსრულების დაწესებულებას დაათვალიერებენ.

25 სექტემბერი, 2006 წელი

პრობაციის ოფიცერთა ტრენინგი დასრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის პრობაციის ოფიცერთა პირადი შემადგენლობისა და სტაჟიორთა გადამზადების პროგრამა დაასრულა. ტრენინგი საქართველოში ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

ტრენინგის 73 მონაწილეს, რომლებიც სამ ჯგუფში განაწილდნენ, შვიდდღიანი სწავლება სპეციალური პროგრამით ჩაუტარდათ. ტრენინგის დასრულების შემდეგ ტესტირების წარმატებით ჩაბარება მხოლოდ ორმა მონაწილემ ვერ შესძლო. წარმატებულ მონაწილეებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტმა გადასცა.

3 სექტემბერი, 2006 წელი

პენიტენციურ სისტემაში UNICEF სოციალურ პროექტებს განახორციელებს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი რუსუდან ტუშური, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი კობა ლლონტი და სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი გიორგი არსოშვილი დღეს UNICEF-ის წარმომადგენელ მაია ყუფარაძეს შეხვდნენ.

შეხვედრაზე მხარეებმა არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სხვადასხვა სოციალური პროექტის განხორციელების გეგმა განიხილეს. თანამშრომლობის ფარგლებში გათვალისწინებულია პენიტენციური სისტემის სოციალურ მუშაკთა ტრენინგები, არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულების წიგნებით მომარაგება და სხვა მატერიალურ-ტექნიკური დახმარება.

5 სექტემბერი, 2006 წელი

პრობაციის ოფიცრების გადამზადების პროგრამა დაიწყო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა, საქართველოში ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის ფინანსური მხარდაჭერით, პრობაციის ოფიცერთა პირადი შემადგენლობის გადამზადება დაიწყო. ტრენინგი დღეს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის უფროსმა ალექსანდრე არაყიშვილმა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტმა გახსნეს.

70-ზე მეტი პრობაციის ოფიცერი სამ სასწავლო ჯგუფში განაწილდა. თითოეულ ჯგუფს შვიდდღიანი ტრენინგი სპეციალური პროგრამით ჩაუტარდება. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეები გაივლიან ტესტირებას და წარმატების მოპოვების შემთხვევაში შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატებს მიიღებენ. სასწავლო პროცესი 25 სექტემბრამდე გასტანს.

22 აგვისტო, 2006 წელი

სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტები დაიბეჭდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით, სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტები გამოსცა.

სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები საკვალიფიკაციო ტესტირებას სასწავლო ცენტრში საბაზისო პროგრამით მომზადების შემდეგ გადიან.

ტესტები შედგენილია სასწავლო პროგრამების მიხედვით და მოიცავს პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებულ როგორც ქართულ, ასევე, საერთაშორისო საკანონმდებლო საკითხებს.

16 აგვისტო, 2006 წელი

სასჯელაღსრულების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების კრებული გამოიცა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა, „ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის“ ფინანსური მხარდაჭერით, სასჯელაღსრულების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების კრებული გამოსცა.

სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელის კობა ღლონტის ინფორმაციით, წიგნში თავმოყრილია სასჯელაღსრულების სისტემასთან დაკავშირებული ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტი.

კრებული 1000-ცალიანი ტირაჟით გამოიცა. წიგნი გადაეცათ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბათუმის №3, ზუგდიდის №4, რუსთავის №6 საპრობაციო და თბილისის ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპრობაციო რეჟიმის დაწესებულების თანამშრომლებს, რომელთაც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში საბაზისო სასწავლო პროგრამის მიხედვით გაიარეს მომზადება.

25 ივლისი, 2006 წელი

ქალთა და არასრულწლოვანთა №5 დაწესებულების პერსონალს გადაამზადებენ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპრობაციო რეჟიმის დაწესებულების პერსონალს გადაამზადება დაიწყო.

საბაზისო და მართვის სასწავლო პროგრამებით №5 დაწესებულების 166 თანამშრომელთან ერთად, ტრენინგს გაივლის თბილისის №1, თბილისის №5, რუსთავის №6 და თბილისის №7 საპრობაციო დაწესებულების 59 ახალდანიშნული თანამშრომელი.

სწავლებაში მონაწილეები რამდენიმე სასწავლო ჯგუფში განაწილდნენ. პირველი ტრენინგი დღეს თბილისის 98-ე სკოლის შენობაში იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ღლონტმა გახსნეს.

ტრენინგი 27 აგვისტოს დასრულდება, რომლის შემდეგ ჩატარებულ ტესტირებაში წარმატებულებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცემათ.

24 ივლისი, 2006 წელი

საბადრაგო სამსახურის თანამშრომელთა ტრენინგი დასრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა ბადრაგირების თბილისის დანაყოფის თანამშრომელთა სწავლება დაასრულა.

საბადრაგო დანაყოფის 167 თანამშრომელი 5 სასწავლო ჯგუფში იყო განაწილებული. სასწავლო ცენტრის სამი ტრენინგი მათ პრაქტიკულ და თეორიულ მეცადინეობას 8-დან 23 ივლისამდე უტარებდა. ტრენინგის დასრულების შემდეგ ჩატარებულ ტესტირებაში წარმატება 156-მა მონაწილემ მოიპოვა. მათ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცათ.

ტრენინგი „საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის“ ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

18 ივლისი, 2006 წელი

გია ქავთარაძემ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ანგარიში მოისმინა

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ 2006 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის ანგარიში მოისმინა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი 2005 წლის ნოემბერში დაფუძნდა. მისი საქმიანობის მიზანი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის ხელშეწყობა და ამ სფეროში დასაქმებული საჯარო მოხელეების, პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლებაა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი თანამშრომლობს შემდეგ ორგანიზაციებთან: „საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია“, „შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო“, „საქართველოში ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისია“, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“, ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმა“.

აღნიშნული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით, ცენტრმა ჩატარა ტრენინგი ზუგდიდის, ბათუმისა და ქუთაისის ადგილობრივი საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის წევრთათვის. ასევე, გადამზადდნენ სასწავლო ცენტრის ტრენინგები, ზუგდიდის №4, ბათუმის №3 საპრობაციო თანამშრომლები. 8 ივლისიდან

მიმდინარეობს თბილისის პატიმართა და მსჯავრდებულთა ბადრაგირების დანაყოფის თანამშრომელთა სწავლება.

უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიზნით, სასწავლო ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ნორვეგიაში, პოლონეთში, ლიტვაში, ესტონეთსა და შვედეთში. ამ ვიზიტებისას მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ცენტრის ტრენერებმა კვალიფიკაცია აიმაღლეს ლიტვისა და პოლონეთის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთა გადამზადების ცენტრებში. ასეთივე ვიზიტი დაგეგმილია ესტონეთისა და შვედეთის შესაბამის სასწავლო ცენტრებში.

სასწავლო ცენტრი ჩართული იყო „სასჯელაღსრულების კოდექსის“ პროექტის შემუშავებაში. მზადდება სახელმძღვანელოები სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელოთათვის, ასევე, სასწავლო ცენტრის ტრენერთათვის. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული, სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის მიზნით, ევროსაბჭოს თბილისის საინფორმაციო ოფისთან მიმდინარეობს მოლაპარაკება. ცენტრი მუშაობს, აგრეთვე, „სასჯელაღსრულების სფეროში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო აქტების კრებულის“ სამტომეულის გამოცემაზე.

„შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ ფინანსური მხარდაჭერით, მიმდინარეობს პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის სათანადო ტექნიკა - ინვენტარით აღჭურვას, სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკის მოწყობასა და საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას.

უახლოეს მომავალში დაიწყება ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპრობაციო რეჟიმის დაწესებულების პერსონალის გადამზადება.

2006 წლის სექტემბერში, საფრანგეთის სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრის მიწვევითა და საფრანგეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წარმომადგენლები საფრანგეთში გაემგზავრებიან.

17 ივლისი, 2006 წელი

იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია ესტონეთიდან დაბრუნდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაციამ ესტონეთში ვიზიტი დაასრულა. იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი კობა ლლონტი და სასწავლო ცენტრის ხუთი ტრენერი ესტონეთში 10-დან 16 ივლისამდე, „შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (SIDA) მიერ დაფინანსებული პროექტის - „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარება“ - ფარგლებში იმყოფებოდნენ.

ვიზიტისას დელეგაციის წევრები ესტონეთის იუსტიციის მინისტრის მოადგილესა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის ხელმძღვანელებს შეხვდნენ. დეტალურად გაეცნენ ციხის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამებსა და სწავლების მეთოდებს, დაათვალიერეს სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულება. შეხვედრებზე გადაწყდა, რომ 2006 წლის ბოლომდე ესტონეთის იუსტიციის სამინისტროს სასწავლო აკადემიასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება.

8 ივლისი, 2006 წელი

საბადრაგო სამსახურების თანამშრომელთათვის ტრენინგი დაიწყო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა დღეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის პატიმართა და მსჯავრდებულთა ბადრაგირების დანაყოფის თანამშრომელთა გადამზადება დაიწყო.

პირველი ტრენინგი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ლლონტმა გახსნა და მასში მონაწილეებს წარმატება უსურვა.

ბადრაგირების დანაყოფის 167 თანამშრომელი 5 სასწავლო ჯგუფად არის დაყოფილი. სასწავლო ცენტრის სამი ტრენერი მათ პრაქტიკულ და თეორიულ მეცადინეობას ჩაუტარებს.

თითოეული ჯგუფის მომზადებისათვის 18 საათია განკუთვნილი. ჯგუფების მეცადინეობა 23 ივლისს დასრულდება.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მასში მონაწილეებს ტესტირება ჩაუტარდებათ და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცემათ.

3 ივლისი, 2006 წელი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენინგმა პოლონეთში სტაჟირება გაიარეს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წარმომადგენლები - სასწავლო ნაწილის უფროსი ნატო გუგავა და ტრენინგები - გიორგი არსოშვილი და ანა ძამაძია პოლონეთიდან დაბრუნდნენ, სადაც მათ პოლონეთის რესპუბლიკის ციხის თანამშრომელთა მომზადების ძირითად ცენტრში სპეციალური ტრენინგი გაიარეს.

სასწავლო ვიზიტისას ქართველი ტრენინგები პოლონელი კოლეგების მუშაობის მეთოდოლოგიასა და სასწავლო პროგრამებს გაეცნენ, სტაჟირების დასასრულ კი შესაბამისი სერტიფიკატები მიიღეს.

პოლონეთში ვიზიტისას გადაწყდა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენინგები პოლონეთის ციხის თანამშრომელთა მომზადების ძირითად ცენტრში სტაჟირებას პერიოდულად გაივლიან.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში სასწავლო ცენტრების დირექტორები ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს გააფორმებენ.

ქართველ ტრენინგთა ვიზიტი პოლონეთში ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო) დააფინანსა.

28 ივნისი, 2006 წელი

სასწავლო ცენტრის ტრენინგები ლიტველ კოლეგებთან მემორანდუმს გააფორმებენ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დელეგაციამ ლიტვაში ვიზიტი დაასრულა. სასწავლო ცენტრის დირექტორის კობა ღლონტის ინფორმაციით, ლიტველ კოლეგებთან მიღწეულია ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება, რომელიც დოკუმენტურად უახლოეს მომავალში გაფორმდება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი იუსტიციის სამინისტროში 2005 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა. ცენტრის განვითარებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის ადაპტირების მიზნით, მყარდება კონტაქტები ევროპის ქვეყნების ანალოგიურ სასწავლებლებთან, რომელთაც მეცხოვრეთა და პრობაციის ოფიცერთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში დიდი გამოცდილება აქვთ. ამ კუთხით, ქართველი ტრენინგებისათვის საინტერესო გამოდგა ლიტვის გამოცდილება. ლიტვაში დელეგაციის წევრები დეტალურად გაეცნენ სასწავლო ცენტრის სტრუქტურას, სასწავლო პროგრამებს და თანამშრომელთა მომზადების მეთოდოლოგიას. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ლიტვის სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან და ექსპერტებთან.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენინგთა ვიზიტი ლიტველი კოლეგების მიწვევითა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით განხორციელდა.

22 ივნისი, 2006 წელი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენინგები უცხოელთა გამოცდილებას ეცნობიან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წარმომადგენლები, უკვე მეოთხე დღეა ლიტვისა და პოლონეთის პენიტენციური სისტემის სტრუქტურას, თავისებურებებსა და თანამშრომელთა მომზადების მეთოდოლოგიას ადგილზე ეცნობიან.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენინგთა 7 კაციანი დელეგაცია ვილინიუსში ლიტველი კოლეგების მიწვევით გაემგზავრა. დელეგაციას ხელმძღვანელობს სასწავლო ცენტრის დირექტორი კობა ღლონტი.

ანალოგიური ვიზიტით ვარშავაში იმყოფება სამი ქართველი ტრენინგერი, რომლებიც პოლონეთის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის სწავლების სპეციფიკას ეცნობიან. ქართველ ტრენინგთა ვიზიტები ამ ორი ქვეყნის სასწავლო ცენტრების დაფინანსებით ხორციელდება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი იუსტიციის სამინისტროში 2005 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა. ცენტრის განვითარებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის ადაპტირების მიზნით მყარდება კონტაქტები ევროპული ქვეყნების ანალოგიურ სასწავლებლებთან, სადაც მეცხოვრეთა და პრობაციის ოფიცერთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში დიდი გამოცდილება არსებობს.

ლიტვაში ქართველ ექსპერტთა ვიზიტი 25 ივნისს, პოლონეთში კი 2 ივლისს დასრულდება.

8 მაისი, 2006 წელი

ბათუმის საპყრობილის თანამშრომელთათვის ტრენინგი მიმდინარეობს

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბათუმის №3 საპყრობილის თანამშრომელთათვის, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, ტრენინგი მიმდინარეობს.

საპრობილის თანამშრომელთა გადამზადების პროგრამა საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის მხარდაჭერით ხორციელდება.

სასწავლო ცენტრის დირექტორის კობა ღლონტის ინფორმაციით, საპრობილეში მომუშავე 124 თანამშრომელი, ერთი თვის განმავლობაში, საბაზისო და მართვის სასწავლო პროგრამებით მომზადდება.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მასში მონაწილეები ტესტირებას გაივლიან და, წარმატების შემთხვევაში, კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატებს მიიღებენ.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრმა სპეციალური ტრენინგები უკვე ჩაატარა ქუთაისის №2, რუსთავის №6 და ზუგდიდის საპრობილეების თანამშრომელთათვის.

2 მაისი, 2006 წელი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენინგებს ტრენინგი ჩაუტარდათ

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენინგებს ნორვეგიელმა ექსპერტებმა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ერთდღიანი ტრენინგი ჩაუტარეს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორის კობა ღლონტის ინფორმაციით, სამი უცხოელი ექსპერტი ქართველ ტრენინგებს სწავლების მეთოდოლოგიაზე, მიზნებსა და ამოცანებზე ესაუბრა. ღონისძიება „საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის“ (NORLAG) ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

25 აპრილი, 2006 წელი

ბათუმის საპრობილის თანამშრომელთათვის ტრენინგი ჩატარდება

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის მხარდაჭერით, 5 მაისს ბათუმის №3 საპრობილის თანამშრომელთა გადამზადების ერთთვიან პროგრამას დაიწყებს.

სასწავლო ცენტრის დირექტორის კობა ღლონტის ინფორმაციით, საპრობილეში მომუშავე 128 თანამშრომელი საბაზისო და მართვის სასწავლო პროგრამებით მომზადდება.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მასში მონაწილეები ტესტირებას გაივლიან და, წარმატების შემთხვევაში, კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატებს მიიღებენ.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრმა სპეციალური ტრენინგები უკვე ჩაატარა ქუთაისის №2, რუსთავის №6 და ზუგდიდის საპრობილეების თანამშრომელთათვის.

24 მარტი, 2006 წელი

ზუგდიდის №4 საპრობილის თანამშრომელთა ტრენინგი დასრულდა

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზუგდიდის №4 საპრობილის თანამშრომელთა ტრენინგი დღეს დასრულდა. ღონისძიების დახურვას იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე ესწრებოდა.

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული სამკვირიანი ტრენინგი ნორვეგიელ იურიდიულ კონსულტანტთა მისიამ (NORLAG) დააფინანსა. ტრენინგში ხუთ ჯგუფში განაწილებული საპრობილის ყველა, 91 თანამშრომელი და 23 ტრენერი მონაწილეობდა. სასწავლო კურსის მსმენელებს, რომლებიც საბაზისო და მართვის სასწავლო პროგრამებით მომზადდნენ, შესაბამისი სერტიფიკატები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ღლონტმა გადასცა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი რამდენიმე თვის წინათ შეიქმნა. ცენტრმა უკვე მოამზადა ქუთაისის №2 და რუსთავის №6 საპრობილეების კონკურსის წესით შერჩეული თანამშრომლები.

5 მარტი, 2006 წელი

ზუგდიდის №4 საპრობილის თანამშრომლების გადამზადება დაიწყო

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა დღეიდან ზუგდიდის №4 საპრობილის თანამშრომელთა გადამზადება დაიწყო. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორის კობა ღლონტის ინფორმაციით, ზუგდიდის №4 საპრობილის 91 თანამშრომელი ხუთ ჯგუფად დაიყოფა. მათი მომზადება საბაზისო და მართვის სასწავლო პროგრამებით ჩატარდება. კანონის უზენაესობის საკითხებში საქართველოში ნორვეგიის მრჩეველთა მისიის დაფინანსებით მიმდინარე სწავლება 1 აპრილს დასრულდება. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი რამდენიმე თვის წინათ შეიქმნა. ცენტრმა უკვე მოამზადა ქუთაისის №2 და რუსთავის №6 საპრობილეების კონკურსის წესით შერჩეული თანამშრომლები.